MIA 2 19 00423792

18/02/2019

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს**
**იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის**
**სატენდერო კომისიის სხდომის**
**ო ქ მ ი #1**

სხდომას ესწრებოდნენ: სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მერაბ ჩიხლაძე; სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი კახაბერ ლაბაძე; სატენდერო კომისიის წევრები: უბნის ინსპექტორების სამმართველოს უფროსი დავით გიგაშვილი, საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გელა თევდორაძე და სატენდერო კომისიის აპარატის წევრი საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ია მაჩიტიძე.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, 2019 წლის დაფინანსების ფარგლებში, შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, წყალტუბოს რაიონული სამმართველოს და ტყიბულის რაიონული სამმართველოს გელათის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობების, სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრის – ია მაჩიტიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დეპარტამენტისათვის საჭირო წყალტუბოს რაიონული სამმართველოს და ტყიბულის რაიონული სამმართველოს გელათის პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, სახელშეკრულებო ღირებულებით 44 245.00(ორმოცდაოთხი ათას ორას ორმოცდახუთი) ლარი, რომელიც შს მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის #756 ბრძანების შესაბამისად შეთანხმებულია შსს ეკონომიკურ დეპარტამენტთან(სამს. ბარათი #362164; 12.02.2019).

**კ ო მ ი ს ი ა მ დ ა ა დ გ ი ნ ა**

1. დამტკიცებული იქნას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.



შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
პოლიციის დეპარტამენტის  დირექტორის მოადგილე
პოლიციის პოლკოვნიკი  მერაბ ჩიხლაძე

შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის
დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი
**კახაბერ ლაბაძე**

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
პოლიციის დეპარტამენტი / უბნის ინსპექტორების
სამმართველო
სამმართველოს უფროსი
გიგაშვილი დავით

შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის
დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფის
განყოფილების ეკონომიკური ჯგუფის მთავარი სპეციალისტი
/მთავარი ბუღალტერ-ხაზინადარი/ პოლიციის მაიორი
გელა თევდორაძე



იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
პოლიციის დეპარტამენტი / საორგანიზაციო
უზრუნველყოფის განყოფილება / ეკონომიკური ჯგუფი
წამყვანი სპეციალისტი /შესყიდვების ხაზით/
ია მაჩიტიძე